თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 18 მარტი
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 5

ქ. თერჯოლა 18 მარტი 2022 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ამირან ვერულაშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. ლაშა გურგენიძე, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. ომარი ჯიხვაშვილი, 8. ბადრი ბუცხრიკიძე, 9. ჯემალ ისაკაძე, 10. ელისო მურადაშვილი, 11. მანუჩარ ფანჩულიძე, 12. შალვა ჭანკვეტაძე, 13. გრიგოლ გიორგაძე, 14. გოჩა ვერულაშვილი, 15. დავით გოგბერაშვილი, 16. კახა ბუცხრიკიძე, 17. რამინი რობაქიძე, 18. დავითი ცხადაძე, 19. ნატალია ასათიანი, 20. კობა კირკიტაძე, 21. მერაბ ბასილაძე, 22. ლევან კვატაია, 23. რუსუდან კოვზირიძე, 24. როლანდი მესხი, 25. ივანე ჩუბინიძე, 26. კობა კაცაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. ნინო მახათაძე, 3. თამარ ახვლედიანი.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 29 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 26 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 13⁰⁰ სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდამჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282207526, 16.03.2022 წ.);
   მომხს.; ბ.ბუცხრიკძე

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების საბალანსო ღირებულებით 48500 (ორმოცდარვა ათას ხუთასი) ლარით სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ

გადაცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282205951, 28.02.2022 წ.);

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

3. საკრებულოს გამოკლებული წევრის ამბერკი დოლაკიძის ადგილმონაცვლის ფრიდონ გვენეტაძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

ბ.ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდამჭერიი პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №277 განკარგულების საფუძველზე, ,,სოფლის მხარდამჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიზნით გამოეყო 690000 ლარი, მუნიციპალიტეტის სოფლებში მ/წ 4 მარტიდან 11 მარტის ჩათვლით ჩატარდა სოფლის საერთო კრებები და კონსულტაციები საპროექტო წინადადებების შერჩევის მიზნით, შერჩეულია 81 პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კახა ბუცხრიკიძე - ჩვენ ვთვლით, რომ ეს თანხა უნდა გადაირიცხოს უკრაინის დახმარების ფონდში და ამიტომ ნაციონალური მოძრაობა ამ საკითხს მხარს არ დაუჭერს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-20, წინააღმდეგი -6

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდამჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29220773, 18.03.2022 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების საბალანსო ღირებულებით 48500 (ორმოცდარვა ათას ხუთასი) ლარით სსიპ -სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი - სოფელ ღვანკითში მცხოვრები სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით, მგფ-ს მიერ განხორციელდა წყალსადენის ქსელის მოწყობის სამუშაოები. წყალსადენს საჭირო ელექტროენერგია მიეწოდება სათავე ნაგებობების მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული ელ-სატრანსპორტო ჯიხურიდან, რომლის გამართულად ფუნქციონირებისათვის მიზანშეწონილია უსასყიდლოთ გადაეცეს სსიპ- სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს,

შემდგომში სს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას“ კაპიტალში შეტანის მიზნით, რაზეც კომპანია მზადყოფნას აცხადებს.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-26, წინააღმდეგი -0.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების საბალანსო ღირებულებით 48500 (ორმოცდარვა ათას ხუთასი) ლარით სსიპ -სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29220772, 18.03.2022 წ.).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს გამოკლებული წევრის ამბერკი დოლაკიძის ადგილმონაცვლის ფრიდონ გვენეტაძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

გადაწყვიტეს: ცნობილ იქნას საკრებულოს წევრის ამბერკი დოლაკიძის ადგილმონაცვლის ფრიდონ გვენეტაძისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება (განკარგულება № გ-29.29220771, 18.03.2022 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი